

## **საბანკო გარანტია საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით**

საბანკო გარანტია, დღითიდღე უფრო პოპულარული საბანკო ინსტრუმენტი ხდება სამოქალაქო ბრუნვაში.

საბანკო გარანტიის იურიდიული ძალა და სამართლებრივი ბუნება, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 879 – 890-ე მუხლებშია ჩამოყალიბებული [5]. ამ მოქნილი და იაფი საბანკო ინსტრუმენტის გამოყენება სამოქალაქო ბრუნვის მხარეებს შორის, ხელშეკრულებით დადგენილი მომსახურების გაწევისას, სამუშაოს შესრულებისას, ნასყიდობისას, ან საერთაშორისო ვაჭრობისას, ფულადი თანხის გადახდის გარანტიაა ხელშეკრულების მეორე მხარისათვის იმ შემთხვევაში, თუ გადახდა არ მოხდება იმ მხარის მიერ, რომელსაც ხელშეკრულების ძალით წარმოეშვა გადახდის ვალდებულება.

იმ პირებისათვის, ვისაც ბიზნესთან და ფინანსურ ინსტიტუტებთან შეხება არ ჰქონია, „საბანკო გარანტია“ სამოქალაქო კოდექსის ხსენებული მუხლების გაცნობის შემდეგაც კი, ბუნდოვან სამართლებრივ ინსტრუმენტად რჩება. აღქმა იმ გარემოებისა, რომ თუ გარიგების მხარემ დათქმულ დროში დათქმული თანხა არ ან ვერ გადაუხადა ხელშეკრულების მეორე მხარეს, – მაშინ ამ თანხას გადაიხდის ბანკი, - ხშირად დაუჯერებელია მათთვის. მთუმცა, ვისაც ერთხელ მაინც მიეცა საშუალება გამოეყენებინა ეს ფრიად მოქნილი და იაფი საბანკო ინსტრუმენტი, ხშირად მიმართავს ბანკს განცხადებით ამ მომსახურების მისაღებად.

აღნიშნული ფინანსური ინსტრუმენტი საშუალებას აძლევს ხელშეკრულების მეორე მხარეს, დარწმუნებული იყოს თავისი კუთვნილი თანხის მიღებაში მაშინაც კი, თუ ხელშეკრულების მხარე არ ან ვერ გადაიხდის ხელშეკრულებით დათქმულ თანხას.

როგორც ბიზნეს-პრაქტიკით ირკვევა, სწორად და იურიდიული ხარვეზების გარეშე შექმნილი ხელშეკრულებაც კი არ არის საუკეთესო დაცვის მექანიზმი კონტრაგენტის მხრიდან სახელშეკრულებო ფულადი ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში. სწორედ საბანკო გარანტიაა აღნიშნული ვალდებულების შესრულების უტყუარი უზრუნველყოფა, რადგან იგი იცავს სამოქალაქო-სამართლებრივ გარიგებებში მონაწილე მხარის ფინანსურ ინტერესს.

ქართულენოვანი ელექტრონული ენციკლოპედიის CIVIL ენციკლოპედიური ლექსიკონის [2] მიხედვით, - „საბანკო გარანტია (რწმუნებულება) ნიშნავს, იმას, რომ ბანკი, კლიენტის მიერ სესხის დროულად არგადახდის შემთხვევაში, იღებს ვალდებულებას, თვითონ იკისროს მისი გადახდა, გარანტია წარმოადგენს ვალდებულებას, რომელიც ფულადი ფორმითაა გამოხატული. თუ კანონით, ან ხელშეკრულებით სხვა რამ არაა გათვალისწინებული, მოვალე და გარანტი (რწმუნებული) პასუხს აგებენ სოლიდარულად. გარანტია ატარებს სასწრაფო და უპირობო ხასიათს. კლასიკური რომის სამართალი იცნობდა საბანკო გარანტიის უზრუნველყოფას, რომელსაც “receptum argentarii” ერქვა. ეს იყო არაფორმალური შეთანხმება, რომლის მიხედვითაც ბანკირი იღებდა ვალდებულებას თავისი კლიენტის წინაშე, გადაეხადა მისი ვალი მესამე პირისათვის. ამ შეთანხმების მიხედვით, ბანკირი (argentarii) არ ხდებოდა მესამე პირის მოვალე. მდესამე პირი რჩებოდა მხოლოდ ბანკირის კლიენტის კრედიტორად. თუ მოვალეს არ გააჩნდა სახსრები გადახდისათვის, მაშინ იგი სთავაზობდა თავისი ბანკირის მომსახურებას, რომელთანაც მოვალეს შეთანხმება ჰქონდა დადებული. თუ ბანკირი უარს ამბობდა გადახდაზე, კლიენტი ღებულობდა სასარჩელო დაცვას (actio receptia). აქტის ეს ფორმა უდავოდ შეიძლება ჩაითვალოს საბანკო გარანტიის წინამორბედად.”

აღნიშნული განმარტება კონკრეტულად სასესხო ურთიერთობაზე უთითებს, მაგრამ საბანკო გარანტია გაცილებით ფართოდ გამოიყენება. ქართულ ბაზარზე პრაქტიკამ ჩამოაყალიბა მოთხოვნა საბანკო გარანტიის შემდეგ სახეობებზე:

1) **ავანსის დაბრუნების გარანტია:** ამ შემთხვევაში ბანკი პრინციპალის (გარანტიის დამკვეთის) დავალებით აბრუნებს საგარანტიო თანხას ან მის გამოუყენებელ ნაწილს ავანსის არაღანიშნულებისამებრ გამოყენების ან იმ სახელშეკრულებო ვალდებულების შესრულებლობისათვის, რომლის ფარგლებშიც გადახდილი იქნა საავანსო თანხა;

2) **სატენდერო გარანტია:** ეს ფორმატი ორ ვერსიას ითვალისწინებს, ესენია: სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის გარანტია და ხელშეკრულების შესრულების გარანტია;

3) **გადახდის გარანტია:** იგი გაიცემა ორგანიზაციისათვის მიწოდებული პროდუქციის ან მომსახურების ღირებულების ანაზღაურების უზრუნველსაყოფად;

4) **საბაჟო ორგანოების სასარგებლოდ გაცემული გარანტია, რომელიც მოითხოვება:**

a) რეექსპორტისა და ტრანზიტის რეჟიმის დაცვის შესახებ საქართველოს საბაჟო კანონმდებლობის შესაბამისად დროებითი შემოტანის სამართლებრივ რეჟიმში საქართველოს ტერიტორიაზე საქონლის გადაადგილებისას.

b) იმპორტისა და გადამუშავების საბაჟო რეჟიმის უზრუნველსაყოფად, როდესაც გადამუშავებული პროდუქცია ექსპორტს ექვემდებარება.

გ) საბაჟო საკონსიგნაციო საწყობის მოსაწყობად, რათა სასაწყობო მეურნეობამ მიიღოს საბაჟო საკონსიგნაციო საწყობის სტატუსი.

5) **ხარისხის უზრუნველყოფის გარანტია:** გაიცემა მიწოდებული პროდუქციის, შესრულებული სამუშაოს ან მომსახურების უხარისხობის გამო კონტრაგენტისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების უზრუნველსაყოფად;

6) **სააღსრულებო ბიუროს სასარგებლოდ გაცემული გარანტია:** აუქციონზე ქონების შესაძენად, აუქციონში მონაწილეობის მისაღებად;

7) **ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულების (იგივე გადახდის) გარანტია:** ხელშეკრულებით ნაკისრი ფულადი ვალდებულების შესრულების უზრუნველსაყოფად;

8) **სასესხო გარანტია:** გაცემული კრედიტის დაბრუნების უზრუნველსაყოფად.

## A

აღნიშნული ჩამონათვალი, საბანკო გარანტიის მეტნაკლებად მოთხოვნადი სახეებია და, რა თქმა უნდა, არასრულია. სამოქალაქო კოდექსის მე-10-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, „სამოქალაქო ურთიერთობის მონაწილეებს შეუძლიათ განახორციელონ კანონით აუკრძალავი, მათ შორის, კანონით პირდაპირ გაუთვალისწინებელი ნებისმიერი მოქმედება“ [5]. თუ აღნიშნული მოქმედება გარიგების დადებით თავდება, ხელშეკრულება ფორმდება და ფულადი ვალდებულება ჩნდება, ყველგანაა შესაძლებელი გამოყენებული იქნეს საბანკო გარანტია, როგორც გადახდის უზრუნველყოფის საშუალება.

საბანკო გარანტიის, როგორც ფინანსური ინსტრუმენტის გამოყენების პოპულარობა საქართველოსა და მსოფლიოში განაპირობა იმან, რომ იგი ფულადი ვალდებულების შესრულების ერთ-ერთი ყველაზე უტყუარი და სწრაფი საშუალებაა. საბანკო გარანტიის სამართლებრივ ურთიერთობაში მონაწილეობენ **გარანტი** – საბანკო გარანტიის გამცემი ფინანსური ინსტიტუტი (ბანკი, სადაზღვევო კომპანია, სხვა საკრედიტო ინსტიტუტი), **პრინციპალი** – პირი, რომელმაც მიმართა გარანტს განაცხადით მისი ვალდებულების შესასრულებლად, ვთქვათ, სახელშეკრულებო პარტნიორის სასარგებლოდ საბანკო გარანტიის გაცემაზე, და **ბენეფიციარი**, – პირი, რომელიც წარმოადგენს **პრინციპალის** კრედიტორს (ხელშეკრულების ან კანონის საფუძველზე).

საბანკო გარანტია მარტივი წერილობითი ფორმის მქონე დოკუმენტია. მას გასცემს ბანკი, სადაზღვევო კომპანია ან სხვა საკრედიტო დაწესებულება, ანუ ფინანსური ინსტიტუტები. ეს დოკუმენტი შეიცავს ფულის უპირობო გადახდის შესახებ წერილობით დათქმას, რომელსაც

კისრულობს გარანტი (ბანკი, სადაზღვევო კომპანია) მისივე კლიენტის, ანუ პრინციპალის კრედიტორის წინაშე - პრინციპალის თხოვნით. დოკუმენტის გამოთხოვა არ ხდება გარანტის მიერ და ამ ვალდებულების შესრულება არ არის დამოკიდებული იმ ხელშეკრულების ნამდვილობაზე, რომლის უზრუნველსაყოფადაც გარანტია გაიცა. საბანკო გარანტიაში ჩადებული დათქმა, - აღსრულდება იმ პირის, თუნდაც დაუსაბუთებელი წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე, რომლის სასარგებლოდაც იგი გაიცა. საბანკო გარანტია „სწრაფი აღსრულების“ რეჟიმის მატარებელია, როგორც პრაქტიკა უჩვენებს, გადახდა ხდება არაუგვიანეს ხუთ დღეში გარანტისათვის წერილობითი მოთხოვნის წამოყენებიდან.

საბანკო გარანტია უზრუნველყოფის მყარი, საიმედო და “სწრაფად აღსრულებადი” საშუალებაა და საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 880-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, იგი უზრუნველყოფს “პრინციპალის მიერ ბენეფიციარის მიმართ თავისი მოვალეობის სათანადო შესრულებას”.

ზურაბ ჭეჭელაშვილი თავის სახელმძღვანელოში „ქართული ბიზნესსამართალი“ [1] ლაკონურად და ზუსტად განმარტავს საბანკო გარანტიას როგორც ორ სხვადასხვა გარიგებას. კერძოდ იგი წერს რომ: „საბანკო გარანტიის სამართლებრივი ინსტიტუტის განხილვისას უნდა განვასხვავოთ ერთმანეთისაგან ორი გარიგება: საბანკო გარანტიის გაცემის შესახებ ხელშეკრულება და თავად საბანკო გარანტია.

ა) **საბანკო გარანტიის ხელშეკრულება.** საბანკო გარანტიის ხელშეკრულებით ხელშეკრულების ერთი მხარე - ბანკი, სხვა საკრედიტო დაწესებულება ან სადაზღვევო კომპანია (გარანტი), ხელშეკრულების მეორე მხარის - პრინციპალის თხოვნით, კისრულობს ვალდებულებას, რომლის შესაბამისად, გადაუხდის პრინციპალის კრედიტორს (ბენეფიციარს) ფულად თანხას გადახდის შესახებ ბენეფიციარის წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე. ამდენად, საბანკო გარანტიის ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარე ყოველთვის საფინანსო ინსტიტუტია - ბანკი (ყველაზე ხშირ შემთხვევაში), სხვა საკრედიტო დაწესებულება ან სადაზღვევო კომპანია. ხელშეკრულების მეორე მხარე - **პრინციპალი** შეიძლება იყოს ნებისმიერი ფიზიკური ან იურიდიული პირი. ვინაიდან საბანკო გარანტიის ხელშეკრულებით, ხელშეკრულების ორივე მხარეს აქვს როგორც უფლებები, ასევე ეკისრება ვალდებულებები, ხოლო ხელშეკრულება ჩაითვლება დადებულად მხარეთა შორის შეთანხმების მიღწევის გაფორმების მომენტიდან, თავისი სამართლებრივი ბუნებით ეს ხელშეკრულება ორმხრივი და კონსენსუალურია. საბანკო გარანტიის ხელშეკრულება სასყიდლიანია.

ბ) **საბანკო გარანტია.** საბანკო გარანტიის ხელშეკრულება საფუძვლად უდევს თვით საბანკო გარანტიას, რომელიც ცალმხრივი გარიგებაა. საბანკო გარანტია გაიცემა საფინანსო ინსტიტუტის მიერ და მისი სამართლებრივი ძალა არ არის დამოკიდებული არც ნებისმიერი სხვა პირის თანხმობაზე, არც იმ ძირითად ვალდებულებაზე, რომლის შესრულების უზრუნველსაყოფადაც არის ის გაცემული, მაშინაც კი, როდესაც გარანტია შეიცავს მითითებას ამ ვალდებულებაზე და არც თავად საბანკო გარანტიის ხელშეკრულების ნამდვილობაზე. ამდენად, სამართლებრივი ბუნებით საბანკო გარანტია არ არის აქცესორული, ანუ დამოკიდებული სხვა ვალდებულებაზე; იგი აბსტრაქტული გარიგებაა და არსებობს სამართლებრივი საფუძვლის - causa არსებობის მიუხედავად.”

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მხოლოდ 890-ე მუხლში არის ჩანაწერი შეთანხმებაზე გარანტსა და პრინციპალს შორის დადებულ შეთანხმებაზე, რომლის შესასრულებლადაც გარანტია გაიცა [5]. ამ შეთანხმებაში გათვალისწინებული უნდა იქნეს გარანტის რეგრესის უფლება პრინციპალის მიმართ, გარანტიის მიხედვით გადახდილ თანხაზე. ეს ნიშნავს, რომ გარანტსა და პრინციპალს შორის უნდა დაიდოს წერილობითი ხელშეკრულება და მისი ნაწილობრივი რეალიზაცია უნდა მოხდეს საბანკო გარანტიის გაცემით, ამ ხელშეკრულებაში, სულ ცოტა, უნდა განისაზღვროს გარანტიის თანხა, სასყიდლიანობა, გარანტიის ვადა, გარანტიის უზრუნველყოფა და რეგრესის წესი და უზრუნველყოფის სახე.

საბანკო გარანტიით დადგენილი საგარანტიო თანხის გადახდის ვალდებულების დაკისრების შესახებ დავა განხილული იქნა საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გავრცელების საქმეთა პალატის მიერ, საკასაციო საჩივრის ფარგლებში. გადაწყვეტილება საინტერესოა სწორედ ამ ორი ხელშეკრულების სამართლებრივი ბუნების შეფასების ნაწილში, თუმცა დავის საგანი იყო გადახდის მოთხოვნა მოქმედების ვადამოწურული საბანკო გარანტიის მიხედვით. გადაწყვეტილებაში აღნიშნულია შემდეგი: „სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილი იქნა, რომ საბანკო გარანტიის ხელშეკრულებით მხარეები<sup>1</sup> შეთანხმდნენ ასევე საბანკო გარანტიის ამონაწერის გასაცემ ტექსტზე და განსაზღვრეს მისი სამართლებრივი ბუნება. კერძოდ, საბანკო გარანტიის ხელშეკრულების საფუძველზე ბენეფიციარისთვის წარსადგენად გაიცა საბანკო გარანტიის ამონაწერი, რომელიც წინამდებარე ხელშეკრულების განუყოფელი ნაწილია და მას დამოუკიდებელი იურიდიული ძალა არ გააჩნია, სააპელაციო პალატა იზიარებს საქალაქო სასამართლოს დასკვნას, რომ საბანკო ამონაწერი დამოუკიდებელ დოკუმენტად რაიმე ვალდებულების წარმოშობის ან დადგენის სამართლებრივ საფუძველად ვერ იქნება მიჩნეული, რადგან ის ფაქტობრივად შეიცავს მოკლე აღწერას ძირითადი ხელშეკრულების არსებით პირობებზე და თავად ხელშეკრულებითვე განსაზღვრული, რომ ამონაწერი ხელშეკრულების არსებითი შემადგენელი ნაწილია და დამოუკიდებელი ძალა არ გააჩნია. ამდენად მათი შინაარსის განმარტება უნდა მოხდეს საბანკო გარანტიის ხელშეკრულების ფარგლებში. ამავდროულად საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ სამოქალაქო კოდექსი საბანკო გარანტიას განიხილავს, როგორც მოთხოვნის უზრუნველყოფის ერთ-ერთ საშუალებას, რომელიც უზრუნველყოფის სხვა საშუალებებისაგან განსხვავდება თავისი დამოუკიდებლობით - არააქცესორულობით, რაც გულისხმობს იმას, რომ ძირითადი ვალდებულება - ხელშეკრულება, რომლის უზრუნველსაყოფადაც საბანკო გარანტია გაიცა, გავლენას ვერ ახდენს ამ უკანასკნელზე. საბანკო გარანტია შესასრულებელია გაცემული პირობების ფარგლებში ბენეფიციარის მოთხოვნისთანავე, მიუხედავად იმისა, არსებობს თუ არა ძირითადი ვალდებულებიდან გამომდინარე შესაგებელი. სამოქალაქო კოდექსის 887-ე მუხლის ეს დანაწესი უზრუნველყოფს საბანკო გარანტიის საიმედოობას და იმავდროულად, კრედიტორის მოლოდინს ვალდებულების შესრულებასთან მიმართებით, მაგრამ მხოლოდ საბანკო გარანტიით გარანტის მიერ ნაკისრი ვალდებულებების ფარგლებში. ამასთან, კრედიტორის (ბენეფიციარის) მიერ მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალებად წარდგენილი პირობებით საბანკო გარანტიის არჩევა, ნიშნავს მის თანხმობას ამ პირობებზე, ვინაიდან, სამოქალაქო კოდექსის 51-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ნების გამოვლენა, რომელიც მოითხოვს მეორე მხარის მიერ მის მიღებას, ნამდვილად ჩაითვლება იმ მომენტიდან, როცა იგი მეორე მხარეს მიუვა. აქვე საკასაციო სასამართლო, საბანკო გარანტიის იურიდიული ბუნებიდან გამომდინარე, მიუთითებს, რომ საბანკო გარანტიასთან დაკავშირებული ურთიერთობის მონაწილეები არიან რა ბენეფიციარი, პრინციპალი და გარანტი, ამ ურთიერთობის ფარგლებში ფაქტობრივად ორი ხელშეკრულება იდება: 1. გარანტსა და პრინციპალს შორის საბანკო გარანტიის გაცემის თაობაზე ორმხრივი, სასყიდლიანი ხელშეკრულება (სამოქალაქო კოდექსის 880-ე მუხლი) და 2. თვით საბანკო გარანტია, რომელიც ცალმხრივი გარიგებაა და წარმოშობს გარანტის ცალმხრივ ვალდებულებას ბენეფიციარის მიმართ (სამოქალაქო კოდექსის 879-ე მუხლი). ამავდროულად, საბანკო გარანტიის გაცემით გარანტსა და ბენეფიციარს შორის ურთიერთობა დამოუკიდებელია იმ ძირითადი ვალდებულებებისგანაც, რომლის შესრულების უზრუნველსაყოფადაც არის ის გაცემული (სამოქალაქო კოდექსის 881-ე მუხლი). ამდენად, მხარეთა მიერ “საბანკო გარანტიის ამონაწერად” შეფასებული საქმეში წარმოდგენილი დოკუმენტი ცალმხრივი გარიგება - საბანკო გარანტიაა, რომელიც წარმოშობს მხოლოდ გარანტის ვალდებულებას ბენეფიციარის წინაშე” [8].

---

<sup>1</sup> igulisxmeba principali da garanti.

როგორც ირკვევა, პირველი და მეორე ინსტანციის სასამართლოებმა დაუკარგეს რა დამოუკიდებელი გარიგების სტატუსი საბანკო გარანტიას, შეუცვალეს მას დასახელება, უწოდეს „საბანკო ამონაწერი“ და ეს დამოუკიდებელი გარიგება განიხილეს, როგორც საბანკო გარანტიით მომსახურების შესახებ ხელშეკრულების დანართი და არ მიიჩნიეს ვალდებულების წარმოშობის ან ამგვარი ვალდებულების დადგენის სამართლებრივ საფუძვლად.

საკასაციო ინსტანციამ კი სწორად მიუთითა აღნიშნულის არამართებულობის შესახებ და აღუდგინა საბანკო გარანტიას დამოუკიდებელი გარიგების სტატუსი, რითაც გასწორდა აღნიშნული არამართებული შეფასება.

ზემოთ აღვნიშნეთ, რომ საბანკო გარანტიის მომსახურების შესახებ ხელშეკრულება სასყიდლიანია. სასყიდლიანობას განაპირობებს ფინანსური რისკის არსებობის ფაქტორი გარანტიის მხრიდან, შესაბამისად ეს რისკი კომპენსირდება საგარანტიო თანხაზე დარიცხული პროცენტის პრინციპალის მიერ გარანტის სასარგებლოდ გადახდით. საბანკო გარანტიის ხელშეკრულება იდება წერილობით. ზეპირი ხელშეკრულების დადების შესაძლებლობას საქართველოს სამოქალაქო კოდექსი გამორიცხავს.

საბანკო გარანტია მარტივი წერილობითი ფორმით დადებული ცალმხრივი გარიგებაა. პრაქტიკაში დამკვიდრებულია, რომ იგი შესრულებული უნდა იქნეს გარანტის საქმიანი მიმოწერის საფირმო ბლანკზე და მას ხელს უნდა აწერდეს საამისოდ უფლებამოსილი პირი. ცხადია იგი უნდა წარედგინოს ბენეფიციარს, როგორც პრინციპალის მიერ მის მიმართ ფულადი ვალდებულების შესრულების უტყუარი უზრუნველყოფა.

პრაქტიკაში საბანკო გარანტია, როგორც დამოუკიდებელი დოკუმენტი, შეიცავს მითითებას გამოუთხოვადობაზე, ძალაში შესვლის თარიღს (ან კონკრეტულ გარემოებას ძალაში შესვლის თარიღის ათვლისთვის), საგარანტიო თანხის მიხედვით გადახდის მოთხოვნის ფორმას, საგარანტიო თანხის მოცულობას და გარანტიის მოქმედების ვადას (ან კონკრეტულ გარემოებას), თუ როდის უნდა დასრულდეს საბანკო გარანტიის მოქმედება.

მიუხედავად უზრუნველყოფილი მოთხოვნის მოცულობისა, საბანკო გარანტიით გათვალისწინებული გარანტის ვალდებულება ბენეფიციარის მიმართ შემოიფარგლება იმ თანხის გადახდით, რომელზეც გაიცა გარანტია (სამოქალაქო კოდექსის 881 მუხლი).

მინც რა ფაქტორი განაპირობებს საბანკო გარანტიის, როგორც უზრუნველყოფის სანდო საშუალებას, რა ევალუება გარანტს, როდესაც იგი მიიღებს ბენეფიციარის წერილობით მოთხოვნას საგარანტიო თანხის გადახდაზე?

სამოქალაქო კოდექსის 886-887-ე მუხლების შესაბამისად, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ გადასცეს პრინციპალს ბენეფიციარის წერილობითი მოთხოვნა და მასზე თანდართული დოკუმენტაცია, ამავდროულად თავადვე უნდა განიხილოს ეს მოთხოვნა გონივრულ ვადაში და დაადგინოს, რამდენად შეესაბამება ბენეფიციარის მოთხოვნა და მასზე თანდართული დოკუმენტები - საბანკო გარანტიაში მითითებულ პირობებსა და დოკუმენტების ჩამონათვალს შინაარსობრივად.

თუ მოთხოვნის დაკმაყოფილებამდე გარანტისთვის ცნობილი გახდა, რომ პრინციპალმა თავისი ვალდებულება სრულად ან ნაწილობრივ შეასრულა, ან ეს ვალდებულება შეწყდა, ან ბათილია, მან დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს ამის შესახებ როგორც ბენეფიციარს, ასევე პრინციპალს. თუ ბენეფიციარმა მიიღო გარანტის ამგვარი შეტყობინება და ხელახლა წარუდგინა მოთხოვნა გარანტს გადახდაზე, გარანტი ყველა შემთხვევაში ვალდებულია გადაუხადოს ბენეფიციარს გარანტიის თანხა [5].

საქართველოს კანონმდებლობა ითვალისწინებს გარანტიის მიერ საგარანტიო თანხის გადახდაზე უარის თქმის მხოლოდ სამ შესაძლებლობას, აქედან ორი სამოქალაქო კოდექსის 887-ე მუხლის პირველ ნაწილშია მითითებული: პირველი, - თუ ბენეფიციარის მიერ წარმოდგენილი მოთხოვნა და თანდართული დოკუმენტაცია არ შეესაბამება საბანკო გარანტიაში გაწერილ პირობებს, მეორე, - გავიდა საბანკო გარანტიის მოქმედების ვადა და მოთხოვნა არ იყო წარმოდგენილი ვადის გასვლამდე. მესამე ეყრდნობა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 210-ე მუხლს, რომელიც დანაშაულად შერაცხავს ყალბი საკრედიტო და სხვა საგადასახადო დოკუმენტის ან ქონებრივი უფლებამოსილების დამადასტურებელი ისეთი დოკუმენტის დამზადებას, ან შექმნას გასაღების ან გამოყენების მიზნით, რომელიც არ არის ფასიანი ქაღალდი. საბანკო გარანტიის წერილის სიყალბის შემთხვევაში, საგარანტიო თანხის ანაზღაურება არ უნდა განხორციელდეს, ვინაიდან გარიგება დოკუმენტის სიყალბის გამო არც წარმოშობილა [9].

სამოქალაქო კოდექსი (889-ე მუხლი) ითვალისწინებს საბანკო გარანტიის მოქმედების შეწყვეტის სამ შემთხვევას: 1. ბენეფიციარის სასარგებლოდ იმ თანხის გადახდით, რომელზეც გაიცა გარანტია, 2. გარანტიაში დათქმული ვადის გასვლით; და 3. ბენეფიციარის მიერ გარანტიის მიხედვით თავის უფლებებზე უარის თქმით და გარანტიის დაბრუნებით. [5].

მაგრამ რა ხდება მაშინ, თუ საბანკო გარანტიის მიხედვით გადახდა ნაწილობრივ მოხდა? ამ საკითხს არსებული პრაქტიკით პირდაპირ საბანკო გარანტია არეგულირებს. მასში, როგორც წესი, მითითება, რომ, ნაწილობრივი გადახდის შემთხვევაში, საგარანტიო თანხა ავტომატურად მცირდება გადახდილი თანხის ოდენობით.

საბანკო გარანტიის მიხედვით მოთხოვნის წარდგენის ფორმად სამოქალაქო კოდექსის მიერ დადგენილია ორი განსხვავებული სახე (სამოქალაქო კოდექსის 885-ე მუხლი). პირველი არის წერილობითი ფორმა, რომელიც უნდა დაიცვას ბენეფიციარმა, ამ წერილობით მოთხოვნას უნდა დაურთოს ის დოკუმენტები, რაც საბანკო გარანტიაშია მითითებული. თავად წერილობით მოთხოვნაში ბენეფიციარმა უნდა ჩამოაყალიბოს და ზუსტად უნდა მიუთითოს, რაში გამოიხატა პრინციპალის მიერ იმ ძირითადი ვალდებულების დარღვევა, რომელსაც საბანკო გარანტია უზრუნველყოფდა.

მეორე ფორმა შედარებით ახალია და ახლა იკიდებს ფეხს ბაზარზე. ეს არის მოთხოვნის ელექტრონული ფორმით წარდგენა გარანტისათვის ბენეფიციარის მიერ, მაგრამ ამავდროულად მოითხოვება სხვა ხელშეკრულების არსებობა, კერძოდ ბენეფიციარსა და გარანტს შორის შეთანხმება ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემის გამოყენებით ფულადი თანხის გადახდის შესახებ მოთხოვნის მიღების თაობაზე (885-ე მუხლის პუნქტი „1<sup>1</sup>“)[6].

ეს ჩანაწერი ზოგადი ფორმისაა და შეიძლება გამოყენებული იქნეს ნებისმიერი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მქონე ბენეფიციარის მიერ, თუ გარანტსა და მას შორის იარსებებს ასეთი შეთანხმება. დღესდღეობით აღნიშნული ფორმატი გამოიყენება იმ შემთხვევაში, თუ ბენეფიციარი არის სახელმწიფო სტრუქტურა, მაგალითად, აღსრულების ეროვნული ბიურო, საბაჟო ორგანოები და სახელმწიფო შესყიდვების ეროვნული სააგენტო.

„საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16 მუხლის პირველი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით, არასავალდებულო რეჟიმში, საბანკო გარანტია დაექვემდებარა საჯარო რეესტრში რეგისტრაციას. ეს ნიშნავს, რომ დაინტერესებული მხარის სურვილზეა დამოკიდებული, გაატარებს თუ არა რეგისტრაციაში საბანკო გარანტიას. იმავე კანონის 31-ე მუხლის პირველი ნაწილის „ე“<sup>1</sup> ქვეპუნქტში ჩაიწერა დანაწესი, რომ საბანკო გარანტიის წარმოშობის და მასში ცვლილების რეგისტრაცია დაუყოვნებლივ რეჟიმში 10 ლარი ღირს. ამავე კანონის 33-ე მუხლი „გ“ პუნქტით ასევე დადგინდა რომ თუ პრინციპალი სახელმწიფოა, მაშინ იგი გათავისუფლებულია

სარეგისტრაციო თანხის გადახდისაგან. იმავე მუხლის „ო“ ქვეპუნქტში მითითებულია, რომ საბანკო გარანტიის შეწყვეტა ხდება დაუყოვნებლივ (უსასყიდლოდ) [7].

„საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონში შეტანილ ამ ცვლილებაში არამართლობიერადაა მითითებული საბანკო გარანტიის იურდიული ძალის წარმოშობა საჯარო რეესტრში რეგისტრაციის გზით, რადგან იგი იურდიულ ძალას იძენს მისი გაცემის დღიდან სამოქალაქო კოდექსის 884-ე მუხლის შესაბამისად და მას არ ესაჭიროება საჯარო რეესტრში რეგისტრაცია იურდიული ძალის შესაძენად, ხოლო ბენეფიციარის მიერ მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალებად წარდგენილი პირობებით საბანკო გარანტიის არჩევა, ნიშნავს მის თანხმობას ამ პირობებზე, ვინაიდან, სამოქალაქო კოდექსის 51-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ნების გამოვლენა, რომელიც მოითხოვს მეორე მხარის მიერ მის მიღებას, ნამდვილად ჩაითვლება იმ მომენტიდან, როცა იგი მეორე მხარეს მიუვა [5].

საქართველოს იუსტიციის მინისტრის 31.01.2011 წლის <sup>1</sup> 21 ბრძანებაში მე 7-ე მუხლში შეტანილი ცვლილებით (21.11.2011წ. <sup>1</sup> 148 ბრძ.), პირდაპირ დაიშვა ელექტრონული სახის საბანკო გარანტიის არსებობის შესაძლებლობა, რაც ნიშნავს, რომ საბანკო გარანტია შეიძლება აღარ იქნას გაცემული ქაღალდის მატარებელზე და ფიზიკურად წარედგინოს ბენეფიციარს, იგი შეიძლება წარედგინოს ელექტრონული ფორმითაც [3].

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის <sup>19</sup> ბრძანებით „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“, ასევე დაიშვა საბანკო გარანტიის ელექტრონული ფორმით წარდგენის შესაძლებლობა (მუხლი 16). [4].

საქართველოს საბანკო სექტორი ფრთხილად მოეკიდა ამ საკანონმდებლო ცვლილებებს, რადგან სამოქალაქო კოდექსს საბანკო გარანტიის ელექტრონული ფორმის არსებობა და მისი იურდიული ძალა არ დაუდგენია. მან დაადგინა მხოლოდ ბენეფიციარის მოთხოვნის ელექტრონულად წარდგენის შესაძლებლობა გარანტთან, ისიც იმ შემთხვევაში, თუ გარანტი წინასწარ წერილობით შეუთანხმდება ბენეფიციარს ელექტრონული ფორმით მოთხოვნის წარდგენაზე. ამიტომ საბანკო სექტორი ელექტრონულად საბანკო გარანტიის გაცემის პარალელურად, ჩვეულ რეჟიმში ახდენს საბანკო გარანტიის გაცემას და ცდილობს დაიცვას როგორც სამოქალაქო კოდექსის იმპერატიული ნორმები, ასევე ბიზნეს ეთიკა და საკუთარი კომერციული ინტერესი. ასეთი მიდგომა განაპირობა იმ ფაქტმა, რომ ელექტრონული საბანკო გარანტიის კომპიუტერულ პროგრამაში შეიტანება მწირი ინფორმაცია, კერძოდ, საგარანტიო თანხის მოცულობა, პრინციპალი და ბენეფიციარი, ხოლო გარანტია შესაძლოა სხვა პირობებსაც შეიცავდეს.

უნდა აღინიშნოს, რომ ელექტრონული საბანკო გარანტია მსოფლიო ბაზრისათვის არაა სიახლე და იგი აშშ-ს ბანკებში გამოიყენება. საქართველოში კი ის მხოლოდ ახლა იკიდებს ფეხს და საკანონმდებლო დონეზე ჯერ კიდევ მოითხოვს სათანადო რეგულაციას.

#### გამოყენებული ლიტერატურა

1. ჭეჭელაშვილი ზ. 2011. *ქართული ბიზნესსამართალი*. თბილისი: საქართველოს პროფესიონალ ბულალტერთა და აუდიტორთა ფედერაცია.
2. გაბუნია დ. [David A. Mchedlishvili](#). საბანკო გარანტიების სამართლებრივი რეგულირება საბაზრო ეკონომიკის პირობებში. *CIVIL ენციკლოპედიური ლექსიკონი*. <http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=5&t=2843> (08.12.2011წ.).
3. საქართველო. იუსტიციის სამინისტრო. 2011. მინისტრის ბრძანება ცვლილებების შეტანის თაობაზე “იძულებითი აუქციონის ჩატარების ფორმების, წესის და პროცედურების დამტკიცების შესახებ”

საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2011 წლის 31 იანვრის <sup>1</sup>21 ბრძანებაში. (148, 21.11.2011). სსიპ “საქართველოს საკანონმდებლო მაცნე.” ვებ გვერდი 111121011, 21/11/2011წ. სარეგისტრაციო კოდი 070010110.22.027.016215.

<https://www.matsne.gov.ge/index.php?option=com-ldmssearch&view=docView&id=1512638> (08.12.2011წ.).

4. საქართველო. სსიპ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო. 2011. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის ბრძანება “გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის შესახებ.” (9, 07.04.2011). სსიპ “საქართველოს საკანონმდებლო მაცნე”. ვებ გვერდი 1100408019, 08.04.2011წ., სარეგისტრაციო კოდი 010240060.21.014.016016.

<https://www.matsne.gov.ge/index.php?option=com-ldmssearch&view=docView&id=1279790> (08.12.2011წ.).

5. საქართველო. პარლამენტი. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი. (786-III, 24.07.1997წ) პარლამენტის უწყებანი. 31, 24.07.1997წ., სარეგისტრაციო კოდი 040.000.000.05.001.000.223.

<https://www.matsne.gov.ge/index.php?option=com-ldmssearch&view=docView&id=31702> (08.12.2011წ.).

6. საქართველო. საქართველოს პარლამენტი. საქართველოს კანონი საქართველოს სამოქალაქო კოდექსში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ. (3537-რს, 21.07.2010წ.) „საქართველოს საკანონმდებლო მაცნე” IM<sup>1</sup>47 05.08.2010. სარეგისტრაციო კოდი 040.000.000.05.001.004.166

<https://matsne.gov.ge/index.php?option=com-ldmssearch&view=docView&id=93070> (08.12.2011წ.).

7. საქართველო. საქართველოს პარლამენტი. საქართველოს კანონი „საჯარო რეესტრის შესახებ” საქართველოს კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე. (3888-III, 07.12.2010წ.) „საქართველოს საკანონმდებლო მაცნე” I, <sup>1</sup>67 09.12.2010წ. სარეგისტრაციო კოდი 040000000.05.001.016076

<https://matsne.gov.ge/index.php?option=com-ldmssearch&view=docView&id=1130815#> (08.12.2011წ.).

8. საქართველო. საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებათა კრებული. (7; 2009წ. 51-57) სამოქალაქო, სამეწარმეო და გავრცელების პალატის გადაწყვეტილება საქმეზე <sup>1</sup>ას-562-871-09 <sup>1</sup>ას-562-871-09 ბიჯისი; 20.10.2009წ.

<http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/samoq-2009-07.pdf> (08.12.2011წ.).

9. საქართველო. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი. საქართველოს კანონი „საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ”. (3446-რს. 16.07.2010წ) „საქართველოს საკანონმდებლო მაცნე” <sup>1</sup>44 28.07.2010წ. სარეგისტრაციო კოდი 080.000.000.05.001.004.136

<https://www.matsne.gov.ge/index.php?option=com-ldmssearch&view=docView&id=92926#> (08.12.2011წ.).

*Nino Chipashvili*  
*Grigol Robakidze University*

## **Bank Guaranty According to the Georgian Legislation**

### **Summary**

Bank guaranty is daily becoming a popular bank instrument.

Legal force and nature of bank guaranty is indicated in the articles 879-890 of the Civil Code of Georgia. Usage of this flexible and cheap bank instrument among the parties of the civil turnover is a guaranty of payment during provision of services determined by the agreement, conducting of works, during purchase or international trade if the party who is obliged to pay based on the agreement fails to pay.

The concept of “bank guaranty” is vague for people who had never dealt with financial instruments or business even after studying the above mentioned articles of the Civil Code. They cannot believe that if a



party of the agreement fails to pay due amount of money within the due time to the other party of the agreement, the bank will pay this amount. But those people who have used this flexible and cheap bank instrument apply to bank in order to get this service again.

This financial instrument gives an opportunity to the party of the agreement to be sure in getting due amount of money in cases when the other party of the agreement fails or does not pay the amount determined by the agreement.

As it is shown by business practice, even an agreement that is made without any legal defects is not the best protection mechanism when the contracting party fails to fulfill obligations of payment determined by the agreement. Bank guaranty warrants fulfillment of liabilities as it defends financial interests of the parties participating in civil-legal agreements.

According to the dictionary of Georgian electronic encyclopedia CIVIL [2] – “Bank guaranty means that bank takes a responsibility to pay if a customer fails to cover loan timely. Guaranty is pecuniary obligation. Unless otherwise determined by the law or the agreement, a debtor and a guarantor bear a joint liability. Guaranty is of urgent and unconditional character. Classical Roman law was familiar with bank guaranty that was called “receptum argenratii”. It was an informal agreement. According to this agreement, a banker took a responsibility to pay his customer’s debt to the third party. Banker (argentarii) will not become a debtor of the third party based on this agreement. The third person remained a creditor of a banker’s customer. If a debtor had no finances to pay, he/she offered service of his/her banker. If a banker refused to pay, a customer would get an action defense (actio receptia). This act can be considered as a predecessor of the bank guaranty”.

The given definition refers to a loan relationship but the bank guaranty is more widely used. Practice has outlined demand on the following kind of bank guaranties:

- 1) **Guaranty of returning the advance payment:** In such case a bank returns guaranty amount or its unutilized part based on the principal’s order if advance money is not utilized purposefully or for fulfillment of the agreement liability within which the advance payment is made;
- 2) **Tender guaranty:** This format includes two options: tender proposal guaranty and guaranty of fulfillment of the agreement;
- 3) **Payment guaranty:** It is issued for guarantying reimbursement of cost of service or products delivered to the organization;
- 4) **Guaranty issued in favour of the customs office:**
  - a) For observing re-export or transit regimen – is required during moving goods within legal regimen of temporary import according to the custom law of Georgia;
  - b) For ensuring custom regimen of import and processing when the processed products are subject to export;
  - c) For arrangement of customs consignment stock in order to give consignment stock status to storage facilities.
- 5) **Quality guaranty:** Is given for reimbursement of damage incurred to a contractor due to poor quality of the delivered goods, conducted work or provided service.
- 6) **Guaranty issued in favour of the Enforcement Bureau:** For purchasing property at the auction, for participation in the auction.
- 7) **Guaranty of fulfillment of liabilities (payment) determined by this agreement:** For guarantying fulfillment of pecuniary liabilities imposed by the agreement.
- 8) **Loan guaranty:** For securing returning of the allocated credit.

These are mostly demanded forms of bank guaranty and this list is not complete. According to the 2<sup>nd</sup> part of the article 10 of the civil code “Parties of civil relationship can carry out any act that is not forbidden by law including any act that is not directly envisaged by law”. [5] If such act ends by concluding an agreement, the agreement is signed and pecuniary liabilities appear, bank guaranty can be used for securing payment.

Popularity of the bank guaranty in Georgia and in the world is due to the fact that it is the fast and trustworthy means of fulfillment of pecuniary liabilities. The following parties involve in the legal relationship of the bank guaranty: **guaranty** – financial institution issuing bank guaranty (bank, insurance company, other credit institutions), **principal** – a person, who has applied to a guarantor for giving guaranty for securing fulfillment of his/her (principal’s) obligations in favour of a contract partner and **beneficiary** – a person who is a **principal’s** creditor (based on the agreement or law).

Bank guaranty – is a document of a simple written form. It is issued by a bank, insurance company or other credit institution i.e. financial institutions. This document contains the written obligation taken by a guarantor (bank, insurance company) regarding unconditional payment of money in favour of its customer i.e. a principal’s creditor based on a principal’s request. The document cannot be revoked by a guarantor and fulfillment of this obligation does not depend on validity of that agreement which is secured by guaranty. Conditions of the bank guaranty will be fulfilled based on a written demand (even groundless) of a person in favour of whom this guaranty was issued. The bank guaranty is subject to “urgent execution”. As it is shown by practice, payment is made within five days from submitting a written request to a guarantor.

Bank guaranty is reliable, solid and fast means of securing and according to the first part of the article 880 of the civil code of Georgia it secures “Proper fulfillment of obligations by a principal in favour of a beneficiary”.

In his book “Georgian Business Law” [1] Zurab Chechelashvili accurately determines the bank guaranty as two different transactions. He writes: “In case of discussion of legal institution of the bank guaranty we must differentiate two kinds of transactions: the transaction regarding issuing the bank guaranty and the bank guaranty itself.

- a) Bank guaranty agreement. One party of the bank guaranty transaction – bank, credit institution or insurance company (guarantor) takes a responsibility based on a principal’s request to pay a principal’s creditor (beneficiary) if a beneficiary submits a written demand of payment. One party of the bank guaranty agreement is a credit institution – bank (in most cases), other credit institution or insurance company. Other party of the agreement – principal – can be any physical person or legal entity. Both parties of the agreement have rights based on the bank guaranty agreement and they have obligations as well. An agreement is valid from the moment of signing it. According to its legal nature, this agreement is bilateral and consensual.
- b) Bank guaranty. Bank guaranty agreement is a basis for the bank guaranty. It is a unilateral transaction. Bank agreement is issued by a financial institution and its legal force does not depend on consent of any other person; it does not depend on obligations secured by it even in case when guaranty includes reference to this obligation and it does not depend on validity of the bank guaranty. Bank guaranty is not ancillary and does not depend on other liabilities. It is an abstract transaction and exists despite the causa”.

Only the article 890 of the civil code of Georgia includes provision regarding the agreement concluded between a guarantor and a principal which is secured by guaranty [5]. This agreement must consider the recourse of a guarantor in relation to a principal on the amount paid according to guaranty. It means that a guarantor and a principal must sign a written agreement and it must be executed partially by the issuing bank guaranty. This agreement must indicate guaranty amount, guaranty period, guaranty security, rule of regress and type of security.

The Chamber of Civil, Enterprise and Insolvency Affairs of the Supreme Court of Georgia has discussed a dispute within cassation lawsuit regarding imposing an obligation of payment of guaranty amount determined by the bank guaranty. Resolution is interesting when evaluating the legal nature of these two agreements though subject of dispute was demand of payment based on the bank guaranty with expired validity. According to the resolution: “The Appeal Court has concluded that by signing the bank guaranty agreement the parties have agreed upon text of extract of the bank guaranty and have determined its legal nature; i.e. the bank guaranty extract was issued based on the bank guaranty agreement for submitting it to a beneficiary which is an integrated part of the given agreement and has no independent legal force. The Chamber of Appeal agrees with the following resolution made by the city court – bank extract cannot be considered as an independent document and as a legal basis of appearing of obligations as it contains short description of the main terms of the principal agreement and is determined by the agreement itself. Extract is a part of the agreement and has no independent force. Thus, their content must be explained within the bank guaranty agreement. Besides, the Court of Review indicates that the civil code considers the bank guaranty as one of the means of security which is different from other forms of security by its independence – it is not accessorial. It means that the main obligation – agreement - that is secured by the bank guaranty has no influence on it. The bank guaranty must be executed immediately after the request of a beneficiary despite the fact whether plea that is based on general obligations exists or not. This enactment of the article 887 of the civil code secures reliability of the bank guaranty and a creditor’s anticipation regarding the fulfillment of obligations but only within the liabilities taken by a guarantor based on the bank guaranty. Besides, selection of the bank guaranty for securing a creditor’s (a beneficiary’s) demands means that he/she agrees to these terms as according to the first part of the article 51 of the civil code of Georgia when expression of will which requires its acceptance by the other party will be considered to be true from the time when it is delivered to the other party. Considering the legal nature of the bank guaranty the Court of Review indicates that as a beneficiary, a principal and a guarantor are participants of the relationship related to the bank guaranty two agreements are made within this relationship: 1. An onerous agreement between a guarantor and a principal regarding issuing the bank guaranty (article 880 of the civil code of Georgia); 2. The bank guaranty itself which is an unilateral transaction and creates unilateral obligation to a beneficiary (article 879 of the civil code of Georgia); Besides, by issuing the bank guaranty the relationship between a guarantor and a beneficiary is independent from those main obligations that are secured by the given guaranty (article 881 of the civil code of Georgia). Thus, “Bank guaranty extract” document that is given in the case is a unilateral transaction – it is a bank guaranty that creates only obligations of a guarantor to a beneficiary” [8].

As we see, courts of the first and the second instances have deprived status of independent agreement from the bank guaranty; they have changed its name and called it “bank extract” and they have reviewed it as an annex to the bank guaranty service agreement and they have not considered it as a basis of creation of liabilities or legal basis of determining such liabilities.

The cassation instance indicated to inadequacy of the above mentioned act and restored independence status of the bank guaranty thus correcting the incorrect evaluation.

As we have already mentioned above, the bank guaranty service agreement is onerous. Onerousness is determined by a financial risk factor of guaranty. This risk is balanced by payment of interest accrued to the guaranty amount by a principal in favour of a guarantor. The bank guaranty agreement is made in a written form. The Georgian civil code excludes possibility of making a verbal agreement.

Bank guaranty is a unilateral transaction concluded in a simple written form. It must be written on a letter-headed paper and it must be signed by an authorized person. It must be submitted to a beneficiary as a security of fulfillment of pecuniary liabilities of a principal to a beneficiary.

As a result, the bank guaranty as an independent document includes indication to irrevocability, date of coming in force (or definite circumstances for calculating date of enactment), a payment demand form according to the guaranty amount, guaranty amount and validity (or definite circumstances) when the bank guaranty validity expires.

Despite the volume of secured demand, the guaranty liability to a beneficiary determined by the bank guaranty is limited to the payment of the amount that was secured (article 881 of the civil code of Georgia).

Which factor ensures bank guaranty as reliable means of security? What are the obligations of a guarantor when he/she gets a beneficiary's written demand regarding payment of the guaranty amount?

According to the articles 886-887 of the civil code of Georgia, he/she is obliged to deliver a beneficiary's written request to a principal together with all attached documentations. He/she is obliged to discuss this issue within reasonable period of time and determine if a beneficiary's demand and attached documents are relevant to conditions indicated in the bank guaranty and if the list of documents is relevant from the point of content.

If before satisfying the demand, a guarantor finds out that a principal has fulfilled own liabilities completely or partially or if the agreement is terminated or becomes void, he/she must immediately inform both a principal and a beneficiary regarding it. If a beneficiary receives such notice from a guarantor and still submits a request of payment of guaranty, a guarantor must pay the guaranty amount in any case [5].

The Georgian legislation envisages three possibilities of refusal by a guarantor to pay the guaranty amount. Two of them are indicated in the first part of the article 887 of the civil code of Georgia: First – when the request submitted by a beneficiary and the attached documentations are not relevant to the conditions given in the bank guaranty; second – the bank guaranty validity period has expired and the request was not submitted until expiration of the deadline. The third possibility is based on the article 210 of the criminal code of Georgia. According to this article, such acts as making of forged credit or other kind of payment document, document certifying proprietary rights (when they are not securities) for the purpose of sale or purchase are considered as a crime. In case of the counterfeited letter of guaranty, the bank guaranty amount shall not be paid since the transaction itself does not exist as a result of forgery of the document [9].

Three cases of termination of the bank guaranty are considered by the civil code of Georgia (article 889):

1. Making payment in favour of the beneficiary in the amount that was secured by the guaranty;
2. Expiration of the deadline indicated in the guaranty and
3. Waiver of guaranty rights by a beneficiary and by returning back the guaranty [5].

But what happens when partial payment is made according to the bank guaranty? This issue is regulated directly by the bank guaranty. As a rule, it is indicated in the bank guaranty that in case of partial payment, the guaranty amount is reduced in proportion to the paid amount.

The civil code of Georgia (article 885) has determined two forms of submitting a request. The first is a written form that must be observed by a beneficiary. He/she must attach those documents to this form that are indicated in the bank guaranty. In the above mentioned written form, a beneficiary must describe in details violation of obligations by a principal that were secured by the bank guaranty.

The second form is new. It envisages sending a request electronically to a guarantor by a beneficiary. But in such case, one more agreement must be concluded between a beneficiary and a guarantor regarding accepting the payment request by means of the electronic system of the document turnover (Paragraph 1<sup>1</sup> of the article 885) [6]. This form can be used by a beneficiary with any organizational-legal structure if the

above mentioned agreement is concluded between a guarantor and a beneficiary. At present, such format is used when a beneficiary is a state structure i.e. National Bureau of enforcement, customs office or State Procurement Agency.

According to “c” subparagraph of the first part of the article 16 of the Georgian law on “Public Register”, the bank guaranty is subject to non-compulsory registration at Public Register. It means that the parties may decide whether to register it at the Public Register or not. “e<sup>1</sup>” subparagraph of the first part of the article 31 of the same law indicates that the fee for immediate registration of the bank guaranty or amendments that are made in it equals to 10 GEL. “c” paragraph of the article 33 of the same law indicates that if a state is a principal, it is free from the payment or the registration fee. According to “n” subparagraph of the same article, the bank guaranty is terminated immediately (free of charge) [7].

These amendments to Georgian law on “Public Register” make an incorrect statement when indicate that the legal force of guaranty is created by registering it at the Public Register. It obtains a legal force from the date of issuance and according to the article 884 of the civil code of Georgia it does not need registration at the Public Register for obtaining a legal force. And selection of the bank guaranty by a beneficiary as a security is considered as his/her consent to these conditions as according to the first part of the article 51 of the civil code of Georgia expression of will that requires acceptance by the other party is considered as true from the moments of its delivery to the other party [5].

Electronic bank guaranty was permitted based on the amendments to the article 7 of the decree N 21 31.01.2011 of the Minister of Justice of Georgia (21.11.2011, order 148), which means that the bank guaranty can be delivered to a beneficiary electronically [3].

Based on N 9 decree made on April 7, 2011 by the Chairman of “State Procurement Agency” on “Approving rules of simplified procurement and electronic tenders” possibility of submitting an electronic form of the bank guaranty was permitted as well (article 16) [4].

Georgian bank sector was very careful about these legislative amendments as the civil code of Georgia has not determined the existence of the electronic form of the bank guaranty and its legal force. It has determined only the possibility of submitting a beneficiary’s request electronically to a guarantor if a guarantor and a beneficiary agree in advance about it in a written form. For this reason the bank sector together with issuing the electronic bank guaranty continues to issue the bank guaranties in an usual mode and tries to observe imperative norms of the civil code, business ethic and own commercial interest. Such approach was determined by the fact that the electronic bank guaranty contains very little information, such as the guaranty amount, a principal and a beneficiary and the guaranty may include other conditions.

It must be mentioned that the electronic bank guaranty is not a novelty for the world market and it is used by US banks. In case of Georgia, it starts to appear now and requires regulation at the legislative level.